კომუნიკაციების
კომისია

# გადაწყვეტილება

N გ-22-17/194
28/04/2022

194-გ-22-1-4-202204281254

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის №18 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2022 წლის 28 აპრილის N18 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" $12^1$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. გადატანილ იქნეს კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 28 აპრილის N18 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-2 საკითხი (საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის რადიოსიხშირული ზოლების მინიჭების შესახებ) 2022 წლის 05 მაისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მქონე კომისიის წევრთა კვორუმის არარსებობის გამო;
2. კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 28 აპრილის N18 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (თან ერთვის);
3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144
+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი